http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/userreport.cgi?mid=19&yid=v1937

“დინამო” (თბილისი) - “დინამო” მოსკოვი - 0:4 (0:2)

18 სექტემბერი. თბილისი. სტადიონი “დინამო”. 30 000 მაყურებელი.

მსაჯი: ვ. ბუტუსოვი (ლენინგრადი).

გოლები: 0-1 სემიჩასტნი (17), 0-2 სემიჩასტნი (33), 0-3 პონომარიოვი (80), 0-4 პონომა-რიოვი (86).

თბილისის “დინამო”: ა. დოროხოვი, შ. შავგულიძე (გუნდის კაპიტანი), ნიკოლაიშვილი, ვ. ჯორბენაძე, მ. მინაევი, გაგუა, თ. გავაშელი, მ. ბერძენიშვილი, ბ. პაიჭაძე, ასლამა-ზოვი, სომოვი.

“დინამო” მოსკოვი: ფოკინი, ტეტერინი, ჩერნიშოვი, კორჩებოკოვი, ლაპშინი, ელისეევი, პონომარიოვი, იაკუშინი, სემიჩასტნი (კაჩალინი 38), სმირნოვი, ილინი (გუნდის კაპიტანი).

დაამატა: **ერლან მანაშევმა**

თბილისის “დინამოს” დამარცხება

18 სექტემბერს თბილისის “დინამოს” ამხ. ლ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგა პირველი მატჩი “ა” ჯგუფის საკავშირო პირველობის გათამაშების მეორე წრიდან.

ამ დღეს თბილისელების წინააღმდეგ თამაშობდა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი მოსკოვის “დინამო”.

თამაშის პირველივე წუთებიდან თბილისელებმა ძლიერი შეტევა განავითარეს და სასტიკად დააწვნენ მოწინააღმდეგის კარს, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს.

მე-17 წუთზე თბილისელების კართან შექმნილი არეულობით ისარგებლა სმირნოვმა და სამმეტრიანი დარტყმით პირველი ბურთი მოაქცია თბილისელების ბადეში.

თამაში ცენტრიდან დაიწყო. თბილისელები სწრაფად მიიჭრნენ მოწინააღმდეგის კართან და რამდენიმე კრიტიკული მომენტიც შეჰქმნეს, მაგრამ კვლავ უშედეგოდ.

მე-30 წუთზე ბურთი გაიტაცა თბილისელთა თავდასხმის ცენტრმა ბ. პაიჭაძემ, გაუსხლტა მოწინააღმდეგის დაცვას და მაგარი შუტით დაარტყა კარში, მაგრამ მეკარე კვასნიკოვმა, რომელიც მთელი მატჩის მანძილზე შესანიშნავად იცავდა კარს, ბურთი მოხდენილად დააბრუნა უკან.

თამაშის მე-33 წუთია. ბურთი კვლავ გადავიდა თბილისელების კართან და მოსკოველმა სემიჩასნიმ მეორედ გაარღვია თბილისელთა კარი.

პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 2:0 მოსკოველების სასარგებლოდ.

მეორე ტაიმი თბილისელებმა კიდევ უფრო სწრაფი ტემპით დაიწყეს და მთელი 10 წუთის მანძილზე “ჩასახლდნენ” მოწინააღმდეგის მოედანზე. მე-9 წუთზე თერთმეტმეტრიანი თავისუფალი დარტყმის უფლებაც მოიპოვეს, მაგრამ მ. ბერძენიშვილმა, რომელიც ამ დღეს საერთოდ სუსტად თამაშობდა, ნაღდი ბურთი ხელში ჩაუგდო მეკარე კვასნიკოვს.

ტაიმის მე-25 წუთზე მოსკოველების მარჯვენა გარემარბმა პონომარიოვმა ისარგებლა დოროხოვის შეცდომით და მესამე ბურთი მოაქცია თბილისელების ბადეში, ხოლო ტაიმის ბოლო წუთებში მანვე გაიტანა მეოთხე ბურთი.

მატჩი დამთავრდა თბილისის “დინამოს” სასტიკი დამარცხებით ანგარიშით 4:0.

ამ მატჩიდან თბილისის დინამოელებმა უნდა გამოიტანონ სათანადო დასკვნა. მარტო ბურთის გატაცება, მოგების სურვილი და ტემპერამენტი არ სწყვეტს საკითხს. საჭიროა კარში მაგარი და ზუსტი დარტყმები. საკმაო სიზუსტით ვერ სჯიდა ამ პასუხსაგებ მატჩს ლენინგრადელი მსაჯი ბუტუსოვი. მაგალითად, მე-15 წუთზე მოსკოველმა კორჩებოკოვმა თავის საჯარიმო მოედანზე ბურთი ხელით ათამაშა, მაგრამ მსაჯმა უდავო პენალტი რატომღაც ვერ შეამჩნია.

ს. გ-ლი
“კომუნისტი”, 20 სექტემბერი 1937 წ.